ტვიანი შემოდგომაა. შვებულება ავიღე და მშობლიურ სოფელ ნატომარში ტაქტმტვარე. მანქანა ჭიშკართან გაჩერდა. ტაქმოვედი. ტული აჩრარებით მიცემდა. სწრაფად შევაღე რკინის ჭიშკარი და ეზოში შევედი. აქეთ-იქით ვიხედებოდი, ვიდრის ფვალებით ვიღაცას ვეძებდი... ტამხმარ ფოტოებზე რამდენიმე წაბიჯი ტადავდგი და შუა ეზოში მდგარ ხის ტრძე სკამს რომ მოკარი ფვალი, უცებ ტამოვერკვიე და მთელი სიცხადით აღვიქვი ირგვლივ ტამეფებული სიცარიელე. სკამთან მივედი, ჩამოვჯექი, თავჩაღუნული ჩავაცქერდი მშობლიურ მიწას და ფიქრებში წასულს თვალწინ ტადამეშალა რამდენიმე ათეული წლის ამბები... მომატონდა მამაჩემთან ურანასკნელი შეხვედრაც... ვიდრის ჩამესმა მისი ტკბილი, ტაღშრამწვდომი ხმა მის მიერ ტანვლილი ცხოვრების შესახებ რომ ტვიყვებოდა...

აქ, ამ ნაძვების დაბურულ ეზოში კოხტა ხის სახლი იდგა. აქა-იქ შემოჭრილი მზის სხივებზე მისი ფანჯრები სარკესავით ელვარებდა ხოლმე და კიდევ უფრო მეტ შნოსა და ლამაზს მატებდა სუფთად მოვლილ კარ-მიდამოს. ამ სკამზე უყვარდა ჯდომა ოჯახის უფროსს – კაცე ლვანის ძე წინიძეს. მოხუცებულობისასაც კი ვეჩრი, სპეტაკი ულვაშები ახატატრებული სიკოხტავით ჰკონდა ხოლმე ტადატრეხილი. არც ასაკი ეწყობოდა და არც წლების მანძილზე ტამოვლილი ადამიანური ჭირ-ვარამი. ბეჭდებში ტამარგუდიდო, თავი ამაყად ეჭირა, ხან ტაგვიებს კიოხულობდა, ხან კი ფიქრებში იყო წასული. რომ შეხედავდით იფიქრებდით, ასეთ კაცს დრო ვერას დააკლებსო. თავადაც ამ ას ამბობდა ერთ თავის ლექსში:

"ვერა! სიბერე ვერ შემაშინებს
დაე სიბერემ შორს დამიცადოს...
აბა, იმისთვის მე სად მცალია,
ჩემი ფიქრები შორს მეძახიან!"

ოხმოც წელს იყო მიტანებული მამაჩემი და მაინც სიცოცხლითა და ენერგიით იყო სავსე. სიწყვა მას არ შეშლებოდა და საუბე. ამასთან, იმდენად საინტერესო მოსაუბრე იყო, რომ ანდამატივით იზიდავდა ხალხს. ორღობეში ვინც კი ტაივლიდა, მასთან რომ არ შემოვედი ტული არ ატრჩებოდა, შეაღებდა ჭიშკარს, მასპინძელს და მის ოჯახს მოიკითხავდა, ტაჩერდებოდა იქვე ნაძვების ჩრდილში ტრძე სკამზე და მოწვეთინებენ მთისას და

მარისას. მისი თამაშის ხარი მასთან ტარდასული წლებს, საერთო ჭირსა და ლხინს იგონებდა, ახლა-ვაჭრები კი იმიტომ ისმენდნენ ტუისულურით მის ნამღერს, რომ მასში ბევრ რამეს პოულობდნენ თავიანთივის ჭკუის სასწავლებელს და გამოსადეგს. სოფლელები მას ყველანი კაცე მასწავლებელს ეძახდნენ და ამ მიმართვაში საოცარ დიდი წყობა, მოწიწება და სიყვარული იგრძნობოდა. ხალხის ასეთი დამოკიდებულება რომ დაიმსახურო, ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ პედაგოგიური განათლება. ამისათვის ყველაფერი ერთად არის საჭირო – ცოდნაც, ნიჭიც, პატიოსნებაც, საქმისადმი ერთგულებაც და უანგარო სამსახურიც. ყველაფერი ამის საფასური კი არის ტკბილი ნაძვილი სიტყვები: "მასწავლებელი", "სოფლის მეგრუნველი".

მამაჩემი შეძლებული გლეხის ოჯახიდან იყო, ეიკვი და-ძმა ჰყავდა. მისი მშობლები დიდად აფასებდნენ სწავლა- განათლებას და ოუმცა, ყველა შვილს ვერ დაამთავრებინეს გიმნაზია,მას, როგორც ნიჭიერს და ფიზიკურად სუსტს, ყველანაირად შეუწყვეს ხელი, რომ სასულიერო გიმნაზიაში ესწავლა.

1906 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მამას მიეცა უფლება მასწავლებლად ემუშავა, მაგრამ ახლომახლოს სკოლა არ იყო და ამიტომ დაინიშნა ბასიღეთის საჭმაღოების სოფელ ბუკნარის ორკლასიანი სკოლის გამგედ. ასე დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, მაგრამ არა მარტო პედაგოგიური, ვინაიდან სკოლა, რომელშიაც იგი სამუშაოდ მივიდა, აბსოლუტურად მოუწყობელი იყო. იგი ბავშვების თავშესაფარი ფარდული უფრო იყო, ვიდრე სკოლა. არ ჰქონდა საკლასო ოთახები, სასწავლო ნივთები, სწავლის ელემენტარული პირობები. ამიტომ, ვიდრე მასწავლებლობას დაიწყებდა, იგი იძულებული გახდა სკოლის მშენებლობისათვის მოეკიდა ხელი. ოცამდე ოჯახთან მოახერხა შეთანხმება. შეაგროვეს ფული და ერთ წელიწადში აატეს სკოლის ახალი შენობა, სადაც სწავლას შეუდგნენ არა მარტო სასკოლო ასაკის, არამედ ასაკგადაცილებული ახალგაზრდებიც. ყველაფერი რომ მოგვარდა და სკოლა ნორმალურ მუშაობას შეუდგა, მამამ ახლა ახალი სასარგებლო საქმე წამოიწყო, ამჯერად უკვე მშობლიურ სოფელ ნაგომარში.

სწავლის საქმე აქ ძალიან დაბალ დონეზე იდგა. მასწავლებას დუქნებში ღუმელობდნენ. არ ჰქონდათ წიგნები და სასწავლო ნივთები. ისევ ყველაფრის თავიდან დაწყება გახდა საჭირო. მან შეამოკრიბა სოფლის თავკაცები, რომლებსაც ტული შესცოდათ მასწავლების საკითხის მოგვარებაზე და ერთად გადაწყვიტეს სკოლისათვის ახალი შენობის აგება, მაგრამ ნაგომრის გაღატაკებულ გლეხობას არ შეეძლო საჭირო თანხის გაღება, მიიმუქეს, რომ ნაგომარი დიდი სოფელი იყო და სკოლაც ორსართულიანი დასჭირდებოდა. გამოსავალი მაინც იპოვეს. მამაჩემმა , პორფირე ჩიჩუამ, კონია ნინიძემ, სიმონ კოპლატაძემ, ილია ახალაძემ, კირილე უჯმაჯურიძემ და სხვებმა სოფლის სახელით დახმარებისათვის მიმართეს შაიუმის და ფოთის ქართველ მუშებს. რკინიგზისა და ნავსადგურის მშრომელებმა ცურად იცეს მათი ხსოვნა და დახმარება აღუთქვეს. შაიუმში ფულის შეგროვებას საათავეში ჩაუდგნენ პორფილე ჩიჩუა და სიმონ კოპლატაძე, ფოთში – კონია ნინიძე და კირილე უჯმაჯურიძე, სოფელში კი – თავად მამაჩემი და ილია ახალაძე. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა სოფელ ნაგომრის მკვიდრმა სიმონ მაჭიაშვილმაც, რომელიც სოხუმში მუშაობდა. მან, პირადი ინიციატივით, მოინახულა ნოვოროსიისკის, ტუაფსეს, სოჭისა და სოხუმის ქართველი მუშები და დამატებით შეაგროვა 350 მანეთი ოქროთი. ასე ჩაეყარა საფუძველი ნაგომრის სკოლას, რომელმაც 1956 წლამდე იარსება ( შემდეგ იგი დანამედროვე კეთილმოწყობილი შენობით შეიცვალა).

რამდენიმე წლის მოღვაწეობის შემდეგ, საჭიროებამ მოითხოვა, რომ მამა მისი სახლიდან მოშორებით, სოფელ ასკანაში გადასულიყო სამუშაოდ. საკმაოდ დიდი მანძილი ჰქონდა ყოველდღე ფეხით გასავლელი.გზა ტყეზე გადიოდა. ბილით ძალიან ადრე დგებოდა, რომ სკოლაში დროზე მისულიყო. ჭამასაც კი ვერ ასწრებდა და გზაზე წაღებული საგზაო სიარულში ერთი-ორჯერ ისე დაადგა ყელზე, რომ კინაღამ დაიღრჩო. უჭირდა – იღლებოდა, სცივდა, მაგრამ საქმისათვის ასე იყო საჭირო და ისიც ითმენდა ვაჟკაცურად.

ბედმა გაუღიმა მამას – მეუღლე სათნო და მოყვარული ქალი შეხვდა. მასავით ერთგული და გამძლე – ილია ფარნაოზის ასული მაჭიაშვილი. მაგრამ, ჯერ სულ ახალგაზრდებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს – პირმში

ვაჟი, რომელიც ჯერ კიდევ 3 წლის და 9 თვისა იყო, ავად გაუხდათ, ექიმი დროზე ვერ მოუყვანეს ( ანკი სად იყო ახლომახლოს, რომ მიეყვანათ. სოფელში კი არა, ქალაქშიც ჭირდა ექიმები) და ბაშვი გარდაიცვალა. იქნებ ამ უბედურების გამოც იყო, რომ ჩვენს ოჯახში ყოველთვის იმედით შეჰყურებდნენ ექიმის პროფესიას და მომდევნო სამი ვაჟიდან, სამივემ სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრეთ: ერთი მკურნალი გამოვიდა, ორი კი - ფარმაცევტი.

საართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განათლებასა და კულტურას მეტი გასაქანი და ასპარეზი მიეცა. მამამ თავიდანვე შეიცნო სოციალისტური გარდაქმნის სიდიადე, გაიწახა მასში ის ძალა, რომელიც ხალხს ბედნიერ ცხოვრებას მოუტანდა, გაწევიდა კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და ახალი ცხოვრების მშენებელთა წრეებში ჩაღგა. მას ხომ ძალიან დიდი საქმე - მომავალი თაობის აღზრდა ჰქონდა დაკისრებული. გულმოდგინე მასწავლებელი ცდილობდა ყველა ჩაება სწავლაში, ყველა საქმის გაეცნობიერებინა ღირსება და გამოცდილება. სკოლის გარეთაც კი იგი არაჩვეულებრივი მონდომებით და სიყვარულით აკეთებდა ყველაფერს, რაც კი ბავშვების სწორ აღზრდასთან იყო დაკავშირებული. სკოლის გარეთ თავისი ცხოვრებით აძლევდა მათ პირად მაგალითს, სკოლაში კი მთელი გულისყურით ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, რომლის სპეციალისტიც იგი იყო.

მამა არა მარტო სოფლის მასწავლებელი, მისი თავკაციც იყო. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კოლექტივიზაციის გატარებაში. მეზობლებსა და ახლობლებს მისი დიდი ნდობა ჰქონდათ და ბუმცა თავიდან გეზიერთი სკეპტიკურად იყო განწყობილი ახალი წყობისადმი, მაშამ მაინც მოახერხა მათი დარწმუნება და საერთო საქმეში ჩაბმა. საკუთარი ძმა - ტიორიც კი, რომელსაც თავდაპირველად ვერც კი წარმოედგინა, რომორ უნდა შეეცვალა თავისი ღამაჩი, სიმწირით მოვლილი და ნასაბუთევი ხარები კოლექტივში, მაღე ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მევრი და ბრიგადის ხელმძღვანელიც კი გახდა.

თავდაღებით შრომობდა ხალხი კოლექტივიზაციის გარიჟრაჟზე. ძალას

და ენერგიას არ იშურებდნენ. მამას სიხარულით ევსებოდა გული, როცა დაინახავდა თავის ძმას აღიორზე ჩაის საკრეფად რომ მიუძღვოდა სოფლელებს და ცოტაო დაქვიანებულებს მორიდებით რომ საქვედურობდა 7 საათი ისეთაც ქვიანია სამუშაოდ გასასვლელადო... თავად გიორგი მარდიც დაუფიქრებელ შრომობდა, თავს არ ზოგავდა და სოფელიც მადლიერი იყო მისი. ამის დასტურია ისიც, რომ იგი არაერთგზის დაჯილდოვებულა სანიმუშო შრომისათვის.

ქველას თავისებური წვლილი შეჰქონდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში. იძენებოდა შრომის ახალი ფორმები, იხვეწებოდა მეთოდები. კოლმეურნეობის წევრებისათვის ბრიგადებში შეიქმნა წერა-კითხვის შემსწავლელი ჯგუფები, რომლებსაც მამა ედგა სათავეში. იგი ჩვენი ერთგულებითა და გულმოდგინებით უძღვებოდა ამ საქმესაც.

გულისტკივილით იგონებდა ხოლმე მამაჩემი ჩვენსაუკუნის ოცდაათიან წლებს. ახალ საქმეში შეცდომებიც ხდება ხოლმეო, იტყოდა ხოლმე იგი, როცა გაიხსენებდა რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა იმ დროის რეპრესიებმა. სოციალისტური მონაპოვრის დაკარგვის შიშით მკაცრი სამართალი ვიყავით ადამიანის ერთგულებას და ზოგჯერ უსამართლობაც რომ სჯიდნენ. ეს მწარე გაკვეთილია ქველასათვის და ასეთი ბრძა სამართალი აღარ უნდა გამეორდესო , ამბობდა იგი.

ჯერ მამასაც შეეხო მაშინდელი არეულობა. გაუხსენებ, რომ იდეალად მეწმენდეკური პარტიის წევრი იყო. იმას არად დაგიდევდნენ, რომ მან საკუთარი ინიციატივით დატოვა ეს პარტია და წლების მანძილზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში. მართალია, დაპატიმრებით არ დაემუქრნენ, მაგრამ სასჯელი საქმეს კი მოსწყვიტეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს. ექვსი ჯერ შემდეგ, როცა ბრიგადა გადაიარა, რაიონის განათლების განყოფილებაში დაიბარეს და თავის პროფესიას დაუბრუნეს. ერთებით იმედგაკარგულმა კვლავ ირწმუნა, რომ ჭეშმარიტება საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს და უფრო მეტი მგზნებარებით შეუდგა სასჯელი საქმეს. გაუკეთრობის გამომჟღავნების შემდეგ მას ეს განათლებაც აუნაზღაურეს, იმ ავადმოსაგონარი 6 ჯერის მანძილზე რომ ერგებოდა.

ამის შემდეგ მამა უკვე ჩოხატაურის საშუალო სკოლასა და საფერშლო ტექნიკუმში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. მეც იქ ვსწავლობდი. მამა ამაყობდა ჩვენით – სამივენი ნიჭიერი, თავაზიანი და შრომისმოყვარეები მგავსართო, ქვეყნდა ხოლმე. მარტოკა ძალიან გვიყვარდა სწავლა. ჯერ სევერიანემა დაამთავრა ბებიისის სამეიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი, შემდეგ – ამირანმა, იმავე ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. სევერიანემა დრანდის ამთიაქის გამგედ დაიწყო მუშაობა, ამირანმა – ბიჭვინთის საავადმყოფოში, მთავარ ექიმად. ორივე ტუბერკულოზით მუშაობდა, მაგრამ სამხედრო სამსახურის ვადა მოუვიდა და სევერიანი 1939, ხოლო ამირანი 1940 წელს წითელი არმიის რიგებში ჩაიწვნენ. მე ყველაზე უმცროსი ვიყავი. ამ დროისათვის სკოლა წარმატებით დავამთავრე და ბებიისის ფარმაცევტიულ ინსტიტუტში ჩავერიცხე. ამჟამად სამეიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტი, მაშინ ცალკე ინსტიტუტად იყო გამოყოფილი.

მამაჩემი ბედნიერ კაცად თვლიდა თავს, რომ ცხოვრება ასე კარგად აეწყო – ვაჟების ხელმძღვანელებიდან სულ მალე ომება მოსდიოდა, სხვა კი რა უნდოდა მჭრუნველი მშობლის გულს.

მშობლების სიხარული და სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. დაიწყო ავად მოსაგონარი 1941 წლის ივნისი. დაიწყო ომი. ქვეყანას დაუჭირა ემუქრებოდა. ძლიერი მტერი ელვის სისწრაფით მოიწევდა წინ. სამშობლოს დაცვა სჭირდებოდა. ჩემი ორივე ძმა ჯარის ნაწილებთან ერთად პირდაპირ ჩაება ომში. მოდიოდა და მოდიოდა მაგრამ ოფლითა და ცრემლით დანამული სამკუთხა ბარათები, სავსე აუტანელი, გულისტკივილით, წუხილით, მაგრამ მაინც იმედით და ვაჟკაცური შემართებით. საფრთხე თანდათან იზრდებოდა და მშობლებიც უფრო და უფრო ღელავდნენ.

1942 წელს შეწყდა წერილები სევერიანისაგან, რომელიც იმ დროს უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი იყო და ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. მარტოდენ, ამირანისაგან წერილები რეგულარულად მოდიოდა, მაგრამ საფრთხესთან ისიც ახლოს იყო. პირველ ხანებში მე მაინც ვეძახდი მშობლებს უსაფრთხოდ, 1943 წელს კი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრე-

ბისთანავე, ტამანწმიდის დინეცკში, ქ. სტალინოში და მეც სადარდი ტა-
ვუხი ისეთად სასოწარკვეთილ დეე-მამას. რომელ ერთზე ეფიქრა ადარ იცოდ-
ნენ. სამშობლო დაუკვეთის პირველ იდგა, და სამიეე ვაჟი საფრთხეში ეგუ-
ლებოდათ. ერთადერთი იმედი ჰქონდათ -ბედნიერი სამარდიან საქმეს
ემსახურებოდნენ და ამ სამარდიან საქმეს სიცოცხლეში ედგა კომუნისტური
პარტიის პოლიტბიუროს დიდი პოლიტიკოსისა და ტალიცდილი მხედართმთავრის
ი.ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

1944 წელს ნახევრად სასიხარულო და ნახევრად მსამწუხარო ამბავი
მოხდა. მამამ წერილი მიიღო სევერიანისაგან - ძმიმედ დაჭრილი ქ. სუხუმის
ჰოსპიტალში ეწვევარო. ატორიალებულმა მამამ უფროსი ვაჟის ამბავი სასწრა-
ფოდ შეატყობინა მის მომდევნო ვაჟს - ამირანს, რომელიც იმყამად სამ-
ხედრო სანიტარული მატარებლის უფროსი იყო და ფრონტის ხაზიდან დაჭრილები
ტალიაქავდა.ჭურეში. ამირანი ძალიან შეაშფოთა ძმის ამბავმა და ტალა-
წვდომა, რომელზე მოენახულებინა. სხუმის მთელი ჰოსპიტალი ტანუტრტრობ-
და ორი ძმის შეხვედრას. ღვიძლი ძმის ნახვამ სწვერიანი საოცრად ტაამ-
ხნევა,და უფრო იოლად ტალაატანინა ტასაჭირი. 16 ჭრილობა ხუთრობა
საქმე არ არის, მატრამ, როგორც ჩანს, ვაჟკაცისათვის იხიც არაფერია...
ტაუძლო და ტადარჩა.

მალე სევერიანი ბათუმის ჰოსპიტალში ტადაიყვანეს. ტახარებული
დეე-მამა მაშინვე ტაეშურა მის სანახავად. გული აღარ უთმენდათ ბა-
თუმში ჩასვლამდე. გზა ერთი-ორად ტრძელი ეჩვენებოდათ. როცა, ბოლოსდა-
ბოლოს მიაღწიეს ბათუმს და სასწაულებრივად ტადარჩენილი შვილი ნახეს,
აღარ იცოდნენ ეგირათ თუ ტაეხარათ. მართალია შვილს ცოცხალს ხედავდნენ,
მატრამ მრავალ ჭირტამოვლილმა მშობლებმა ისიც იცოდნენ, რომ მოუშუშებელი
ჭრილობები და სხეულში ჩარჩენილი ჭურვის ნამსხვრევები კიდევ არაერთ
ღამეს ტააღენებინებდა მას თეთრად და არაერთხელ მოატონებდა ომის ნა-
კვალევს. სამეიცინო კომისიამ სევერიანი ტაანთავისუფლა სამხედრო
სამსახურიდან და იქი მშობლებთან დაბრუნდა, მატრამ მკურნალობას კიდევ ათ
ათრძელებდა.

ძალიან უჭირდა სოფელს ამ დროს. ისეთად რა ჰქონდათ და იმასთან

SOVLAB

ჭეშმარიტ და ნახევარს ფრონტზე აგზავნიდნენ. მამაჩემი მაშინ სკოლაშიც მუშაობდა და სასოფლო საბჭოს დეპუტატიც იყო. ღვეზაზე ბრუნავდა, ღვეზას ამხნევებდა. თავის მოვალეებთან ერთად ეხმარებოდა კოლმეურნეებს ჩაის კრეფასა და ხიმინჯის მოვლაში. აგროვებდა სურსათ- სანოვაგეს, ფან- საცმელს და სხვა სახსრებს ფრონტის მებრძოლებისათვის გასაგზავნად.

როგორც იქნა დამთავრდა ომი. კიდევ იზეიმა სამარიანობამ. მებრძოლებმა შინ დაბრუნება იწყეს, მაგრამ ომის შედეგები საშინელი და აუნაზღაურებელი იყო: არ დარჩენილა, თითქმის, არცერთი ოჯახი, რომ შვილი, მამა, ძმარი ან სხვა ახლობელი არ დაეკარგოთ ფრონტზე. 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი იმსხვერპლა ომმა. დაინგრა ქალაქები, ქარხნები, ფაბრიკები, ტბები, ხიდები, სახლები... ქვეყანაში სუფევდა შიმშილი და სიღატაკე. თითქმის ყველაფერის თავიდან დაწყება გახდა საჭირო. მამაჩემი და მთელი ჩვენი ოჯახიც ენთუზიაზმით შეუდგა დანგრეული ხელახლა შენებას. მამა კვლავ ტანატრძობდა მასწავლებლობას თავის მშობლიურ სოფელში. 1949 წელს მას დამსახურებულად მიენიჭა ლენინის ორდენი და 1951 წელს - კი - საქ.სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ტატიკა დრო, კიდევ უფრო შენდებოდა და მშვენდებოდა მდინარე სუფსის ნაპირზე ტადაშენილი ჩვენი ლამაზი სოფელი. თავი ვეღარ წვდებოდა ღარივით ტადაჭიმულ ჩაის პლანტაციებს. აშენდა მეფრინველეობისა და მეღორეობის ფერმები. წელში ტაიმართა, მოღონიერდა ტელეკაცი.

სკოლაში თაობები თაობებს ცვლიდნენ. მამას პირველი მოწაფეები უკვე დაოჯახებული, დაბერძენებული ქალები და კაცები იყვნენ. მოხუცს ყოველთვის ახარებდა მათთან შეხვედრა და მათ შესახებ კარგის ტაგება. ძალიან ეამაყებოდა, რომ მისმა ტაჭრდილმა - ჭიჭიკო ბენდელიანმა მთელი სამშობლო ასახელა და თავისი ტმირობით საუკეთესო მაგალითი ურჩენა თანამოძმეებს.

დრო ტადიოდა, მამას წლები ემატებოდა. 1960 წლის დეკემბერში მან იგრძნო, რომ დადგა დრო, როცა თავის საყვარელ საქმეს უნდა ტაჰბოდეთ- ვებოდა, დაეტოვებინა სკოლა და პენსიაზე გასულიყო.

ძალიან ტკბილი და ამაღელვებელი ტაციელა მოუწყვეს სკოლაში. შავშვებმა ყვავილების თაიგული მიართვეს. ტკბილი სიტყვა და მადლობა არავის დაუშურებია. საბოლოო სიტყვა თვით მამამ წარმოთქვა. დღემდე სათუთად ვინახავ ამ ტამოსახოვარი სიტყვის ჩანაწერს:

"დღეს ჩემთვის ბედნიერი დღეა. შემისრულდა ოცდაერთიდან 73 და მასწავლებლობის 52 წელი.

მეფის თვითმპყრობელობის დროს ძალიერ მძიმე პირობებში იმეცადინებდნენ ტყეხთა შვილები. ისინი მოკლებული იყვნენ სწავლასა და ცოდნაზე ბედნიერებას. მე, როგორც ტყეხის შვილმა, ტაჭირვებით შევძელი სწავლის მიღება. ძალიან მძიმე პირობებში მიხდებოდა ცხოვრება. მიჭირდა ერთი რამ მაოწდა დასახული – რომ მესწავლა და ჩემი ცოდნა მომეხმარებინა ჩემსავით ღარიბი ტყეხების შვილებისათვის. ამ მიზნით ტამსჭვალულმა ავირჩიე მასწავლებლის პროფესია. ვცდილობდი კარგად დავუფლებოდი ამ საპასუხისმგებლო საქმეს, ვკითხულობდი სპეციალურ ლიტერატურას – ენინიცკისა და ტამოჩენილი ავარდელი პედაგოგის – ტოლებაშვილის მეთოდიკებს.

მე ყოველთვის ვხელმძღვანელობდი დიდი ბელადის ვ.ი. ლენინის სიტყვებით: "ისწავლე, ისწავლე და ასწავლე სხვებს". საფუძვლიანად შევისწავლე ა. მაკარენკოს პედაგოგიური მოძღვრება, რომელიც ძალიან მეხმარებოდა ჩემს პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ყოველივე ამას უნდა ვუმადლოდე ჩემს მიღწევებს პედაგოგიურ ასპარეზზე.

ჩემი მიზანი იყო მიმეცა ახალგაზრდებისათვის თანამედროვე ღონისათვის შესაფერისი ცოდნა და აღმეზარდა ისინი კომუნისტური სულისკვეთებით, რომ სიტყვითაც და საქმითაც ტამოსდგომოდნენ თავიანთ სამშობლოს.

მართალია, მე დღეიდან ფიზიკურად არ ვიქნები თქვენს გვერდით და არ ჩატიტარებთ ტაკვეთიდებს, მაგრამ სულითა და გულით მუდამ თქვენთან მიგულეთ:

"ჩემს ტკბილ ოცნებას კვლავ არ ვშორდები
ოჰ, სიხარულის ტკბილო ტანცდებო!
ვფრინდე, ტვესმოდეს სიცოცხლის ხმები...
მეც თქვენთანა ვარ, ახალგაზრდებო!"

დიდება დიად კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

SOVLAB

მე, რითაც შევძელი, ორმოცდაათი წლის მანძილზე უმწიკვლოდ ვემსახურე ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეს – მომავალი ბაობის აღზრდას.

მადლობა აქ დამსწრე საზოგადოებას, მეგობრებს, ამხანაგებს, თანამშრომლებს, რომლებმაც პატივი მცეს და მოწაფეობა მიიღეს ჩემს საჭეთმო ტაციელებაში".

მამა პენსიაზე გავიდა. მის მიერ დაწყებულ საქმეს – სამშობლოს უანგარო სამსახურს ახლა ახალგაზრდები ეძღვნენ სათავეში და მან შორის იყო მისი სამი ვაჟიც...

ჩემი უფროსი ძმა სევერიანი ომის ქარცეცხლიდან დაბრუნების შემდეგ მშვიდობიან ცხოვრებაში ჩაება. ჯერ დარბაში დაიწყო სამსახური, შემდეგ კი სოხუმში გადაიყვანეს ადმიაქის ქამეგი. მე და ამირანი ამ დროისათვის სამხედრო სამსახურის მაიორები ვიყავით და კვლავ ტანვატრძობით სამხედრო სამსახურს. სამივე ძმა დავუხახდით. სევერიანმა ჩვენი მეზობლის ქალი წორა მაჩიბაშვილი შეირთო. ამირანმა ზუღუკიძე ტბიისიდან, მე კი – სატარეჯოელი ელიკო ჭიაურელი. სამივეს ტატვიმართლა – კარგი მეუღლეები შევხვდით დღ კარგი ქარიული ოჯახებიც შევქმენით.

ტუშინდელ დღესავით მომაგონდა ჩვენი შეხვედრა ომის შემდეგ ამ ეზოში. მოვიგონეთ წარსული, ბავშვობა და სიყმაწვილე, მაგრამ ომის ქარცეცხლიანი დღეების კვალი ჩვენს ტუნებას მაინც ყველაზე მეტად დამჩნეოდა და უფრო ხშირად მაინც ფრონტის ამბებს ვყვებოდით.

სევერიანმა დამშვიდებით მოგვიყვა, როგორ მიიღო ფრონტზე 16 ჭრილობა: "ომი მძვინვარებდა. მე და ჩემი თანამებრძოლი ივანე წაუმენკო ტამიი ჰოსპიტალში ლამით ტანაღებული მატიკასთან ვისხედით და იმ ღღეს შენიშნეთ მიღებულ წერილებს ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობდით. ღღისით წაკითხვისათვის საღა გვცალდა... ცეცხლის ხაზზე ვიყავით და სანგარშიაც ტყვიების წვიმა ცვიოდა.

წაუმენკომ დახედა ჩემს წერილს და მითხრა, როგორი ტანსხვაებული ტოფია ქარიული ასოები რუსულისა და უკრაინულისათანო, ერთ სიტყვასაც კი ვერ ვავიგებ შენს წერილში. მე ვუპასუხე, იცი რას მწერს მამა-ჩემი მეორე? მითხოვს, რომ ბაეს ტავუფრთხილდე და თუ ტაჭირდა, მტერს ცოცხალი ხელში არ ჩაუვარდე. ორივენი ჩავფიქრდით. ღუმილი ჩამოვარდა.

მერე ჩემს მეგობარს მხარზე ხელი დავადე და ისევ მე წამოვიწყე საუბარი: ჩვენ, ძარღვიელებს, ერთი ანდაზა გვაქვს "ძმა - მმისთვისაო, შავ დღისთვისაო". ფრონტშეყვეტილია მოსაღონელი, მაგრამ სიკვდილის ისე არ მეშინია, რომორც დაჭრის და ტყვედ ჩავარდნის მეძი ვუხარი. და შევთავაზე, მოდი, თუ რომელიმე ჩვენგანს ხიფათი ეწევა და დაიჭრება, მეორემ არ მიატოვოს და თუ ჰოსპიტალამდე ვერ მიიყვანს, მოკლას, რომ მტერს არ ჩაუვარდეს მეძი საჯიჯგნად.

ნაუმენკომ მიიხარა: ამ წუთას მეც მაგაზე ვფიქრობდი და რა კარგია, რომ მიიძოს ჩემს ტყეში იკეძი ჩემთვის სასურველი რამ რომ მითხარიო. ერთმანეთს გადავეხვიეთ და შევფიცეთ... ოთახში შემოსული ჩემი თანამშემწე, უკრაინელი ცისფერთვალება ძალი ნადია ამ ფაქტის უნებლიე მოწმე გახდა. იგმა და გაკვირვებული გვიყურებდა.

მეორე დღეს ისეთი სრული აჭყდა, ტელეფონებიდა ქვემეხებმა ცა ჩამოანგრიესო. ღნეპრის პირას მუხლუხებიანი ტანკები გამოჩნდნენ. "სვასტიკებიანმა" ღრუბლებმაც ტაიერა აჯა-იო. ჰოსპიტალმა ადგილსამყოფელი გამოიცვალა, ძალაც კანევში გადავიდა.

ტაატფრენული მტერი მაღე ძალაჯაც მოადგა და ჰოსპიტალიც ისევ გადასაადგილებლად მზადებას შეუდგა. ატფიაჭის ბამბებით დატვირთულ მანქანებს მგრის ლუმბარებმა სოფელ კრასიკოვსკაში უწია. აქ კი მე ბედმა მიმღეუნა - ლუმბარის ნამსხვრევი მომხვდა და ტუნება დავკარგე. მეორე დღეს, თვალი რომ გავახილე დავრწმუნდი, რომ საქმე ცუდად იყო. მარჯვენა ფეხი შეხვეული მძონდა, ვერ ვდგებოდი და ფან ვეძრწობდი, რომ მაღალი სიცხე მძონდა. ერთ ბამში წარმოვიდგინე რა ბამება მელოდა მგერს რომ ხელში ჩავეგდე. მე ხომ კომუნისტი ვიყავი, ისინი კი კომუნისტებს განსაკუთრებული სისასტიკით ეჭცეოდნენ, უცებ, ტვერდზე რომ მივიხედე ჩემი მეგობარი ნაუმენკო დავინახე. ფურმე ტვერდიდან არ მომცილებია. ნუ ტყეშინიაო, მითხრა, მგრის ხელში არ დაგტოვებო. ფურგონზე დამაწვინა, და მეზობელი სოფლის საავადმყოფოში წამიყვანა. ისევ დავკარგე ცნობა და როცა მოვფხიზლდი, უკვე საავადმყოფოში ვიყავი. ჩემს ირგვლივ ექიმები ფუსფუსებდნენ. საჭირო დახმარების აღმოჩენის შემდეგ სასწრაფოდ პარტიზანებთან გამგზავნეს.

მაღე იმ სოფელს ტესტაპოს მიელი რაზმი დასხმია თავს, მაგრამ კეთილი ხალხის წყალობით მე უკვე საიმედო ადგილას ვიყავი.

ჩვენი პარტიზანთა რაზმი უფრან ტყეში იყო. როცა მოვმჯობინდი, დღისით წამლებს ვამზადებდი დაჭრილებისთვის, შეტაკებების დროს კი - ტყვიამფრქვევთან ვიდექი და სხვებთან ერთად ვუტევდი გზატკეცილზე გამოჩენილ მტერს.

ჩვენს რაზმში ყველას მეტსახელით მიმართავდნენ. მეც ხელახლა მომწადილეს და ჩემი სავარაუდო სოფლის ნაგომარის სახელი შემარქვეს. "ამხანაგო ნაგომარო" -ახე მომმართავდნენ. მე ძალიან მომწონდა ჩემი მეტსახელი, რადგან იგი ჩემს ბავშვობას, მშობლიურ კუთხეს და ახლობლებს მაგონებდა. პარტიზანებთან ერთნის დროს კიდევ სამჯერ დავიჭერი.

ჩვენი ჯარი თანდათან უფრო მძლავრად უტევდა მტერს. თავისუფლდებოდა ფაშისტების მიერ მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები - სოფლები და ქალაქები. როდესაც კი ამის საშუალება აღმოჩნდა, დამაწვინეს ქანთავისუფლებულ ქალაქ სუმის ჰოსპიტალში. ახალგაზრდა ექიმმა ოპერაცია ქამიკეთა და ჭრილის ნამსხვრევების ნაწილი ამომიღო. ნაწილი ნამსხვრევებისა კრუსკში ამომიღეს, ხუთი ნამსხვრევისაგან სხეულში ქამანთავისუფლა პროფესორმა სოკრად არქანამ, ხუთი კი - ჯერ კიდევ სხეულში მაქვს.

ბევრი მძიმე მოგონება მაკავშირებს ომთან, მაგრამ ბევრი სასიხარულო წუთიც მახსოვს. არასდროს დამავიწყდება ამირანმა რომ მინახულა სუმის ჰოსპიტალში. ვერც ჩემი მეგობრის ნაუმენკოს ერთგულებას დავივიწყებ დაჭრილი და ტონემიხდილი წუთით რომ არ დავუფიქრებივარ. ომის დამთავრების შემდეგ მე და ნაუმენკომ ერთმანეთი მოვინახულეთ. საუთად ვინახავ მის მიერ ქამოგზავნილ ფოტოს და წერილებს. იგი დღესაც ქანაგრძობს სამხედრო სამსახურს და ჩვენ მუდმივი მიმოწერა გვაქვს ერთმანეთთან":

- ასე დაამთავრა თავისი მოგონება სევერიანემა.

შემდეგ ამირანმა ქაიხსენა ომის ამბები : " ძალიან მძიმე იყო ეს ხუთი ომიო" თქვა მან. "ბევრს მოუსპო სიცოცხლე და ბევრი ქაუნელდა ომის დაწყებამდე პოლკის უფროს ექიმად ვმუშაობდი, შემდეგ კი სანიტარული მაგალითების უფროსად დამნიშნეს ფრონტზე. ბევ ფრონტის ხაზით ქავიარეთ და იქიდან დაჭრილები ბურქში ქადაგზავნება სხვადასხვა ჰოსპიტალში.

ლებში. ძალიან ხშირად გვბომბავდა მტერი. ასეთ დროს ჯანმრთელს გაუჭირდება თავის დაღწევა და მითუმეტეს უფეხო, უხელო, მძიმედ დაჭრილ მეომრებს. რამდენჯერ მინახავს ოპერაციის შედეგად ბეწვზე გადარჩენილი და სიცოცხლისაკენ მობრუნებული ჯარისკაცები და ოფიცრები ფაშისტების მიერ ჯვიმშრინავიდან დაშენილი ტყვიით სამხედრო მაფარებლებივე განგმირულები. სისხლის ზღვა იდგა... ყველა შველას იხოვდა, მაგრამ რა შეგველო... ჩვენი მცირერიცხოვანი ძალებით ყოველივის ვერ ვახერხებდით მტრის მოგერიებას. ანკი პირადი იარაღით და ავტომატებით რას შეგველებოდით. ასეთი მძიმე სურათი მედგა მუდმივად თვალწინ მთელი ომის მანძილზე. ეხლაც საბჭოთა არმიის რიგებში ვმსახურობ და სპეციალობის მიხედვით ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროსი ვარ. მოსვენებული ცხოვრება არც ახლა მაქვს, მაგრამ რა შედარებაა... ახლა მშვიდობიანი დროა და დაღლა და უძილობაც ასაგანია.

ჩემი ძმების ბანცდები, მაგი გასაჭირი ომის დროს ჩემთვისაც ნაცნობი და გასაგები იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქ. სტალინოში გამანაწილეს. 1943 წელი იყო . გამაღებული ომი მძვინვარებდა. ახალგამთავრებულობაგან რვანი გაგვაგზავნეს ერთად. თვენახევარი დაგვჭირდა უკრაინის ჯანმრთელობის საშინისტროში ჩასვლამდე, ქ. ხარკოვში. იქედან დანიშნულებით ძალიან სტალინოში გაგვაგზავნეს, მგრამ გზაში დიდი დაბრკოლებები შეგვხვდა. ჩვენი მატარებელი დაბომბეს და ბეწვზე გადავრჩით სიკვდილს. ომის დამთავრებამდე ვმსახურობდი ქ. სტალინოში, შემდეგ კი - საქართველოში დავბრუნდი. აქ პირველად სოფელ მერხეულში დავიწყე ამბიულის გამგედ მუშაობა, შემდეგ კი - ტყვაუთის ამბიულის გამგედ გადამიყვანეს. ამის შემდეგ სამხედრო სამსახურში გამიშვეს კედრში. ომისშემდეგ ნაგომარში ძმებთან შეხვედრის დროს ჯერ კიდევ იქ ვმსახურობდი, იშვიათად ვნახულობდი ჩემიანებს და ამიტომ მათი მონაგრებული სახეები ახლაც თვალწინ მიდგას. მამაჩემი ბუნებით დინჯი კაცი იყო, მაგრამ სიხარულს იმაც ვერ ფარავდა. ეამაყებოდა, რომ მისი სამივე შვილი პატიოსნად შრომობდა და იხსენებდა თავის ვაჟს სამხედრო წინაშე.

ბოლოს მამამ ერთი ამბავი გაიხსენა: "1947 წელი იყო.

მთავრობის დაღუპვიდები ფულის კურსი შეიცვალა. სასოფლო საბჭოში რაღაც საქმეზე შევიარე. დიდი რიგი იდგა. ხალხი თავიანთ დანაგროვ ფულს ახალზე ცვლიდა. ამ ტაცვას ეიისო ჩხარტიშვილი ამწარმოებდა. თვალი მომკრა შორიდან და დამიძახა, კაცე ლევანიჩ, მობრძანდით თქვენ ურიგოდ ტერეზეთ და მანდ დაგდომით ნუ შეწუხდებითო. მე ტავუფიმე და ვუთხარი ჩემს ფულს ტამოცვლა არ უნდა, იგი არასდროს არ დაკარგავს კურსს მეფიი და ტავიარე.

მეორე დღეს ხელახლა მომიხდა სასოფლო საბჭოში შევლა. ეიისომ დამინახა თუ არა მომესალმა და მიმხრა: ბატონო კაცე, ტუშინ თქვენი სიცოცხლეში დიდი თავსატეხი ტამეჩინეთ მეც და კომისიის სხვა წევრებსაცო. ძალიან ტხოვთ, მითხარით, ოქრო ტაქვთ შენახული თუ რა ფული ტაქვთ ისეთი, კურსს რომ ვერ იცვლისო. მე ტავუფიმე და ვუთხარი, მაგას რომ ვერ მიხვდით, მე ოქრო საიდან უნდა შემეძინა, მასწავლებელი კაცი ვარ... სამი შვილის მამა ვარ. ჩემი სიმდიდრე ჩემი შვილებია. მთელი ჩემი ჯანი და შემოსავალი მათ აღზრდას და ტანატლებას შევალიე. სამიევნი პატიოსანი მშრომელები, კომუნისტური პარტიის თავდადებული წევრები და მეზრუნველი შვილები არიან. მათით ვარ და ვიქნები მდიდარი. ისინი არიან ჩემი სიხარული და ჩემი ნუგეში სიბერეშიო.

მართლაც დიდი ტაჭირვებით ტვზრდიდნენ მშობლები. ჭადს ჩვენ რომ ტაგვიტეხნენ თვითონ ხშირად მშივრები რჩებოდნენ, მაგრამ ტუს არ იტებნენ თუკი ჩვენ კარგად ვეტუღებოდით. სულ იმას ტვარიტებდნენ ცუდი არაფერი ტაგვეკეთებინა, კარგად ტვესწავლა და ჩვენი ტვარი არ შეტვერცხვინა. ჩვენც ვცდილობდით მათი დარიტება პირნათლად შეტვესრულებინა და მათი ტუი ტაგვეხარებინა.

ტანსაკუთრებული სიხარულით უმრწყინავდათ ხოლმე თვალები, როდესაც სამივე ძმა ჩვენი ცოლ-შვილით ამ ჩვენს ნაძვნარში მოვიყრიდით ხოლმე თავს. ასეთ წუთებში მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

სამივე ძმას ტვაწუხებდა, რომ მშობლები სოფელში მარტო იყვნენ. მაგრამ ვერაფრით ვერ დავითანხმეთ ქალაქში წამოსვლაზე. თავის კუთ, რომელთანაც მრავალი მძიმე და სასიამოვნო წუთი ჰქონდათ ტანცდილი არაფრით არ ტოვებდნენ. ერთადერთი იმას ტვხოვდნენ, ჩვენი ამბავი ხშირ-ხშირად

შეგვაცდომებოდა. ჩვენც ვაგმავნიდით ბერიებს, ფუის და რომორც კი თავისუფალ დროს ვნახავდით, ჩავდიოდით ხოლმე.

1966 წელს მამამ თავი შეუძლოდ იგრძნო. ამბულანსმა მაშინვე თბილისში ჩამოიყვანა, თავის კლინიკაში დააბინავა და საფუძვლიანად გამოიკვლია. მამას სწორი ნაწლავის სიმსივნე აღმოაჩნდა, მეტასტაზებში წასული და მისი დიდხანს სიცოცხლის იმედი აღარ გვქონდა. ამბულანსმა ოდესაში შემაცდომებინა ეს ამბავი. მეორე დღესვე გადმოვფრინდი. მამა უკვე ნაგომარში გადაეყვანათ და თავის მშობლიურ სახლში იწვა. ტკივილი მომიკვდა მისი გაცრეცილი სახე რომ დავინახე. მივხვდი, რომ დიდი ღმე აღარ ჰქონდა.

1967 წლის 2 იანვარს მამაჩემი – კაიე ლევანის ძე წინიძე გარდაიცვალა. ყველას უყვარდა სუფთაკი მოხუცი, ყველაზე დიდი ამბავი ჰქონდა და ამიტომ დაკრძალვაზე მთელი სოფელი მოვიდა. განსაკუთრებული სიბრალული მისივე სოფლიმა მოწაფეებმა, მისმა აღზრდილებმა გამოიჩინეს. საიდან არ მოგვივიდა მაღი დეპეშები. ყველა ჩვენი მშუხარების თანამგრძნობი იყო. ახალგაზრდების საქვარელი აღმზრდელის, დიდებული მამულიშვილის და მოამაგის ცხედართან სასოფლო საბჭოს შენობაზე გამოკრულმა განცხადებამ გაც თავი დახარა. 8 იანვარს მისი ცხედარი მშობლიური ნაგომრის მიწას მიაბარეს.

დარჩა დედაჩვენი მარტო. ორმოცი დღის გასვლის შემდეგ იგი ჩემთან ოდესაში წავიყვანე, სადაც გაზაფხულამდე დარჩა. ძვირფასი მეუღლის დაკარგვით გამოწვეული სევდას ნაწილობრივ მაინც უმარვებდა შვილიშვილების სიახლოვე. როცა სხვა შვილები მოენატრა შემდეგ იმათთან გადავიდა და ასე იყო ხან ერთან და ხან მეორესთან. რძლები და შვილიშვილები თავს ევლებოდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, მაგრამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შვიდ წელზე მეტი მაინც ვერ იცოცხლა. 1974 წლის სექტემბერში გარდაიცვალა უფროსი ვაჟის – სევერიანის ოჯახში. მისი ხსოვნისამებრ დაკრძალვაზე სამივე ვაჟის ოჯახთან ერთად ყველა ახლობელმა მოიყარა თავი. 82 წლისა წავიდა იმ ქვეყნად, მაგრამ მაინც ყველას დასტოვა ტკივილი . ისიც მეუღლის გვერდით დაკრძალეს და მარმარილოს შავ ჩაგზე მაღი ვინაობა დააწერეს შვილებმა.

ამჟამად სევერიანი სოხუმში ცხოვრობს და ქალაქის აფხაზეთის მშრომელთა ტამგეა. მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული პროფესორის წოდება და უმაღლესი კატეგორია. მის მკერდს ომში მიღებულ მედლებთან, სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებთან ერთად ამშვენებს საპატიო ნიშნისა დაშრომის წითელი დროშის ორდენები.

ამირანი ბერიძის მერვე კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორია. იგი საქართველოს დამსახურებული ექიმია და ომის დროს მიღებული სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენების გარდა მასაც არაერთი ჯილდო და მადლობა აქვს მიღებული თავდადებული შრომისა და ერთგული სამსახურისათვის.

1979 წელს ავთანდილმა პირნათლად დაამთავრა სამხედრო სამსახური და 26 წლის თავდადებული სამსახურის შემდეგ პოდპოლკოვნიკის ხარისხში გადადგა. ისიც მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა და ქანაქრძო სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში.

როდესაც საშუალება გამოგვიჩნდება სამივე ძმა ნაგომრისაკენ მივეშურებით და მშობლიურ ეზოში ვიტონებთ ბავშვობისა და ყრმობის ბედნიერ წუთებს. ვიტონებთ უსაყვარლეს ადამიანებს – ჩვენს მშობლებს, რომლებმაც გვა გაგვიკაფეს ცხოვრების ძნელ გზაზე და კეთილი გარიგება გაგვაყოლეს. აუცილებლად ავდივართ სოფლის შიგნით, პაპართ ტრადიციულ შეფენილ სასაფლაოზეც, ყვავილებს დავდებთ, ჩამოვჯდებით დაკიდებულ ერთხელ დიდ მადლობას შევწირავთ მათ მათი პატიოსნებისთვის, მგრუნველობისთვის, კეთილი გარიგებისთვის და შვებილი მშვიდობისთვის. შემდეგ კი მოვდივართ სახლებში და ვცდილობთ ჩვენს ისეთები ვიყოთ, მათ რომ გაუხარდებოდათ და შვილებიც ისე გავზარდოთ, რომ მათი სახელი ასახელონ.

SOVLAB